დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17

2023 წლის 20 ივნისი

ქ. დმანისი

„დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის №3-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1

„დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის № 3-14 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 02/03/2011; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 020080000.35.156.016044) პირველ, მე-8^1 და მე-9 პუნქტებში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1.1 შევიდეს ცვლილება დადგენილების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე გამოყენებული იქნას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 43^1, 43^2, 46^5, 46^6, 51^3, 53^3, 55-ე, 55^2, 55^3, 55^6, 77^1, 77^2, 82^5 (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103, 119^1, 125-ე მუხლის მე-8 და მე-16 ნაწილები, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილი, 134^1, 145-ე, 146^1, 148-ე, 150-ე, 150^1, 151-ე, 151^2, 152-ე, 152^2, 152^5-152^9, 153^4, 156^1, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 159-ე, 159^1, 166^2, 172-ე (იმ ნაწილში, რომელიც გულისხმობს მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვანის

აღზრდისა და სწავლების ან მის მიმართ სხვა მოვალეობათა შეუსრულებლობას, რაც გამოიხატება არასრულწლოვანის მიერ ვანდალიზმის ჩადენით), 172[8] და 172[9] მუხლები.

1.2 შევიდეს ცვლილება დადგენილების 8[1] პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51[3], 53[3], 55-ე, 55[2], 55[3] და 55[6] მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, ან/და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსებისა და გამოყენების უფლება მიენიჭოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს“.

1.3 შევიდეს ცვლილება დადგენილების მე-9 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77[1], 77[2], 82[5] (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე, 119[1], 125-ე მუხლის მე-8 და მე-16 ნაწილით, 127[1] მუხლის მე-5 ნაწილით, 134[1], 145-ე, 146[1], 148-ე, 150-ე, 150[1], 151-ე, 151[2], 152-ე, 152[2], 152[6]-152[9], 153[4], 156[1], 158[5] მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 159-ე და 159[1], 166[2] და 172-ე (იმ ნაწილში, რომელიც გულისხმობს მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვანის აღზრდისა და სწავლების ან მის მიმართ სხვა მოვალეობათა შეუსრულებლობას, რაც გამოიხატება არასრულწლოვანის მიერ ვანდალიზმის ჩადენით) მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ან/და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, ასევე საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-80 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, ოქმის შევსებისა და გამოყენების უფლება მიენიჭოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა ყულიაშვილი